



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №37

(კოდიფიცირებული)

ქ. ბათუმი

15 ივნისი, 2017 წ.

ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების,
შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი
პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08
ოქტომბრის №112 დადგენილებით დამტკიცებული „აკადემიური უმაღლესი
განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების
განხორციელებისა და შეფასების წესი“;

2. დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის თანდართული წესი
(დანართი 1).

3. დადგენილება შესასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის
სტრუქტურულ ერთეულებს;

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

**ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილების
კოდიფიცირებული დანართი 1**
(*ცვლილება და დამატება: ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის
N76, 2017 წლის 30 ნოემბრის N118, 2018 წლის 03 აპრილის N39, 2018 წლის 26 ივლისის
N81 და 2019 წლის 06 მაისის N 06-01/52 დადგენილებებით*)

**ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების,
შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „ბსუ“) აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში „პროგრამა“), მათ შორის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის (გეგმის) შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს. (*ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის N76 დადგენილებით*);

2. აკადემიური უმაღლესი განათლება მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს.

3. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

4. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობას ღებულობს შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო პერსონალი (არსებობის შემთხვევაში), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები.

5. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბსუ-ს მისიას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალის (არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარის - კვლევის ანალიზს.

6. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ეფექტურ განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

3. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სრულდება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 300 კრედიტს:

3.1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს:

ა) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივ და მეთოდურ მოდულს – არანაკლებ 180 კრედიტი;

ბ) თავისუფალი კომპონენტების მოდულს – არაუმეტეს 60 კრედიტი;

გ) სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს – არანაკლებ 60 კრედიტი.

3.2. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა) უნდა მოიცავდეს:

ა) საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდულს – არანაკლებ 120 კრედიტი;

ბ) მასწავლებლის მომზადების მოდულს – არანაკლებ 60 კრედიტი;

გ) თავისუფალი კომპონენტების მოდულს – არაუმეტეს 60 კრედიტი;

დ) სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს – არანაკლებ 60 კრედიტი.

4. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს, დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა - 300 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

5. სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტის ოდენობით, წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც **60 კრედიტი** დაეთმოს სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. *(ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 ივლისის N81 დადგენილებით);*

6. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე უნდა მიეთითოს: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება); შესაბამისი ფაკულტეტი/ფაკულტეტები; უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური; საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება; მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად); პროგრამის მოცულობა კრედიტებით; პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელების ვადა; პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები.

7. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს:

ა) **სწავლების ენა** - სწავლების ენა არის ქართული. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე განხორციელება დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;

ბ) **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - ნათლად უნდა განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების პირობა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში დანართის სახით უნდა მიეთითოს მისაღები გამოცდის/გასაუბრების თემატიკა სათანადო ლიტერატურით. უცხო ენის გამოცდასთან დაკავშირებით უნდა მიეთითოს შესაბამისი დონე;

გ) **პროგრამის მიზანი** - შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების საფუძველზე უნდა დასაბუთდეს პროგრამის აქტუალობა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნები. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: უნდა გამოიკვეთოს კვლევის მიმართულება და პრობლემატიკა; უნდა დასაბუთდეს, რომ პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტს/დეპარტამენტს ან/და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს გააჩნია ამ მიმართულებით კვლევის წარმოების რესურსი (არსებობის შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის შესაბამის დარგში მოპოვებული გრანტების დამოწმებით);

ე) **პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა** - ბსუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა;

ვ) **სწავლის შედეგები** - უნდა ეყრდნობოდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს და მის საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში); ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების საფეხურის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

ზ) **სწავლა-სწავლების მეთოდები** - უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა;

თ) **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა** - უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, როგორ მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. ასევე, უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა და ადეკვატური შეფასების მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების მეთოდების სხვადასხვა კომბინაციას. დეტალური ინფორმაცია მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილ შეფასების მეთოდებზე უნდა აღიწეროს კონკრეტული კურსის სილაბუსში);

ი) **საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (დანართი №1)** – სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. კომპონენტებს შორის უნდა იყოს ლოგიკური კავშირი, რომელთა ერთობლიობამ უნდა უზრუნველყოს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მიღწევა. სასწავლო გეგმაში მიეთითება კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, კოდი, დაშვების წინაპირობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება;

კ) შედეგების რუკა - სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან;

ლ) პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, უნდა განისაზღვროს შუალედური კვალიფიკაციის მოპოვების პირობა, მიეთითოს შუალედური კვალიფიკაციის მოპოვებისთვის აუცილებელი სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები/მოდულები. შუალედური კვალიფიკაციის მოპოვებისთვის განსაზღვრული პროგრამის მოცულობა არ შეიძლება იყოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები;

მ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივობის (პრაქტიკა, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომი, პროფესორის ასისტენტობა, სემინარი და სხვა) დეტალური აღწერა;

8. პროგრამას უნდა დაერთოს: სასწავლო კურსების სილაბუსები; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ; ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროგრამაში ჩართულ საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით ან სხვა დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება და ხარჯთაღრიცხვა ერთ დოქტორანტზე, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმებული ფორმით.

9. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში (გარდა რეგულირებადი პროგრამისა) ძირითად სპეციალობას უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამის საერთო მოცულობიდან 10 კრედიტი უნდა დაეთმოს საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს საშუალება უნდა ჰქონდეს აირჩიოს 60-კრედიტიანი დამატებითი სპეციალობა/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები ან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან.

10. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს არჩევით კურსებს და სტუდენტს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა მოახდინოს ძირითადი და დამატებითი სპეციალობის/არჩევითი კურსების კომბინირება, შემდეგი სახით:

ა) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და არჩევითი კურსები (პროგრამის ფარგლებში);

ბ) ძირითადი სპეციალობა, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და არჩევითი კურსები (პროგრამის ფარგლებში);

გ) ძირითადი სპეციალობა, არჩევითი სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან და არჩევითი კურსები (პროგრამის ფარგლებში);

დ) ძირითადი სპეციალობა და არჩევითი კურსები (პროგრამის ფარგლებში);

11. დამატებითი სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს. იგი არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და ორიენტირებულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განვითარებაზე.

12. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისთვის სტუდენტის მომზადებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% უნდა დაეთმოს რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

13. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კვლევით კომპონენტს, რაც უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის

არანაკლებ 25%-ს.

14. სასწავლო კურსის სილაბუსი სასურველია მომზადდეს სილაბუსის მომზადების ინსტრუქციის და ფორმატის შესაბამისად (დანართი №2). სილაბუსი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება/ სასწავლო კურსის კოდი;
- ბ) სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი;
- გ) ავტორი (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, ფაკულტეტისა და დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება, ტელეფონი, კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- დ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;
- ე) კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება;
- ვ) სასწავლო კურსის ფორმატი;
- ზ) დაშვების წინაპირობები;
- თ) სწავლის შედეგები;
- ი) სასწავლო კურსის შინაარსი;
- კ) სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ლ) შეფასების კრიტერიუმები;
- მ) ძირითადი ლიტერატურა;
- ნ) დამხმარე ლიტერატურა.

მუხლი 2¹. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა (გეგმა)

(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის N76 დადგენილებით);

1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა არის სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი პროგრამა.

2. სტუდენტის განსხვავებული საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (შემდეგში „ისგ“), უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში ამ სტუდენტის შეუფერხებელი ჩართვის (ინტეგრირების) მიზნით.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ეხმარება მას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) არის პირი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი, მეტყველების, ქცევის, ემოციური განვითარების, ასევე მხედველობის ან სმენის დარღვევით, ან რომელსაც აქვს გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება.

5. სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაში მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობა სწავლის პროცესში ან სწავლის სირთულეები, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევა შეუძლებელია სპეციალური დახმარების გარეშე.

6. ისგ-ს შემუშავების საჭიროების შემთხვევაში სსსმ სტუდენტმა უნდა მიმართოს აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს. სტუდენტის საჭიროებისა და უნივერსიტეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობითა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, შემუშავდება ისგ, რომელიც დაეყრდნობა სტუდენტის შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების შეფასებას,

შესაბამისად განისაზღვრება პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნები, ამოცანები და განხორციელების პროცედურა.

7. ისგ-ს შემუშავება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.

8. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით, რაც გულისხმობს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

9. ისგ განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და მიღებული რეკომენდაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინების შემდეგ წარედგინება განსახილველად ფაკულტეტის საბჭოს. ისგ-ს დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად“.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციისათვის მომზადების მიზნით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, რომელშიც შედის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელიც. *(ველილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 აპრილის N39 დადგენილებით)*

2. ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მასალები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) დასაქმების მაჩვენებელს; მონაცემებს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევების შესახებ. *(ველილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N06-01/52 დადგენილებით)*

3. ფაკულტეტის დეკანის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, ფაკულტეტის დეკანს მიეცეს რეკომენდაციები და გონივრული ვადა მათ აღმოსაფხვრელად.

4. სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობასა და სამუშაო გეგმას **(დანართი № 3)** საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შიდა ექსპერტიზისათვის. კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობაში, ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, უნდა შედიოდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. *(ველილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N06-01/52 დადგენილებით)*

5. სამუშაო ჯგუფი ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამის სილაბუსებსა და აკრედიტაციისათვის საჭირო ყველა მასალას და შეფასებისთვის გადასცემს

კურიკულუმის კომიტეტს, რომლის მუშაობას მონიტორინგს უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. *(ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 მაისის N06-01/52 დადგენილებით)*

6. კურიკულუმის კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მოისმინოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისაგან, მოითხოვოს საცდელი ლექციის/ჯგუფში მუშაობის ან სხვა აქტივობის ჩატარება, შეამოწმოს სასწავლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეაფასოს სამეცნიერო-კვლევები და სხვა).

7. ხარვეზების შემთხვევაში, კურიკულუმის კომიტეტი სამუშაო ჯგუფს აძლევს რეკომენდაციას და გონივრულ ვადას მათ აღმოსაფხვრელად.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მუშაობას.

9. კურიკულუმის კომიტეტის დადებითი დასკვნის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია ეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

10. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამები დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

11. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, აკრედიტაციის პროცესში უცხოელ ექსპერტთა ჩართვის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე თარგმნას.

12. აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციისთვის ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ცენტრის დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცხადდება მიღება აკრედიტებულ პროგრამაზე.

მუხლი 3¹. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლებამოვალეობები *(დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 03 აპრილის N39 დადგენილებით);*

1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი გათვალისწინებულ მიმართულებას/დარგს.

2. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს. ერთიდაიგივე პირი არ შეიძლება იყოს ერთიდაიგივე საგანმანათლებლო საფეხურის ერთზე მეტი პროგრამის ხელმძღვანელი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე;

ბ) პროგრამის სრულყოფის მიზნით პროგრამის შიდა და გარე შეფასების, მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგების ანალიზსა და რეაგირებაზე.

4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

ა) ვალდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმართოს პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასების პროცესი;

ბ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/მხარეების ჩართულობას;

გ) ითანხმებს პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად შერჩეულ კანდიდატურებს და მათ აკადემიურ ან/და საათობრივ დატვირთვებს;

დ) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დაცვას;

ე) ვალდებულია ითანამშრომლოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით;

ვ) ვალდებულია მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განხორციელების თავისებურებების შესახებ;

ზ) ვალდებულია ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირების პროცესში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში და მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.“

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურები

1. ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის, მონიტორინგს;

ბ) ატარებს სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიუებებს;

დ) ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს;

ე) აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი მასალის ექსპერტიზას.

3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს ცვლილებას და წარუდგენს კურიკულუმის კომიტეტს ან ასაბუთებს რეკომენდაციების არამართებულობას. კურიკულუმის კომიტეტი უფლებამოსილია გაითვალისწინოს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია ან მისცეს რეკომენდაციები და განუსაზღვროს ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

5. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.

6. საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებები აისახება საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებში და იგზავნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. საგანმანათლებლო პროგრამის შეჩერების/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოხსენების საფუძველზე, იღებს აკადემიური საბჭო.

8. საგანმანათლებლო პროგრამის შეჩერების/გაუქმების შესახებ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინება უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგებს ან/და შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას ან/და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის შესწავლას ან/და მატერიალური რესურსის შეფასებას ან/და აკადემიური და სამეცნიერო რესურსის შეფასებას.

9. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინება უნდა ეფუძნებოდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ანალიზს ან/და მატერიალური რესურსის შეფასებას.

სილაბუსის მომზადების ინსტრუქცია

1. **სასწავლო კურსის სახელწოდება:** ზუსტად უნდა ემთხვეოდეს სასწავლო გეგმაში მითითებულ სახელწოდებას.

2. **კოდი:** ინფორმაციის მოწოდებას უზრუნველყოფენ დეპარტამენტის ხელმძღვანელი და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.

3. **სასწავლო კურსის სტატუსი:** უნდა მიეთითოს ფაკულტეტი, სწავლების საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამა, სემესტრი, სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) სასწავლო გეგმის შესაბამისად.

4. **ავტორები:** უნდა მიეთითოს სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, ტელეფონი და კორპორაციული ელექტრონული ფოსტა. თუ მოდულს უძღვება მოწვეული სპეციალისტი, სასურველია ავტორებში მითითებული იყოს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალიც.

5. **სასწავლო კურსის მიზანი:** ლაკონურად უნდა აღიწეროს და შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს.

6. **კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად:** უნდა მიეთითოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათები შემდეგი ფორმით:

ECTS კრედიტი: _____

საკონტაქტო საათების რაოდენობა: ____ სთ

სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობა: ____ სთ

მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო გეგმასთან.

7. **ფორმატი:** უნდა გაიწეროს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული საათების რაოდენობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. პროცესში აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან ერთად მონაწილეობას უნდა იღებდნენ სტუდენტებიც.

8. **დაშვების წინაპირობები:** ლოგიკურად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა. სასურველია, ერთ სასწავლო კურსს არ ჰქონდეს რამდენიმე წინაპირობა, თუმცა იგი არ უნდა მოიხსნას ხელოვნურად.

9. **შინაარსი:** სასურველია, შინაარსი გაიწეროს დანართის სახით. მასში ნათლად უნდა ჩანდეს თემატიკა კვირების მიხედვით, ლექციების, პრაქტიკულის/ჯგუფში მუშაობის/სემინარის საათების რაოდენობა და გამოყენებული ლიტერატურა.

საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ლექციისა და პრაქტიკულის/ჯგუფში მუშაობის/სემინარის თემატიკის ცალ-ცალკე გაწერა.

10.სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის N07/ნ ბრძანების 1¹ მუხლის „თ“ პუნქტით განმარტებულია სწავლება-სწავლის მეთოდები: „სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.)“.

შესაბამისად, მოცემულ გრაფაში არსებული ჩამონათვალიდან შეგვიძლია დავტოვოთ ის, რომელსაც ვიყენებთ. ჩვენთვის საჭირო თითოეული მეთოდის აქტივობათა ჩამონათვალში არის სიტყვა „სხვა“, რაც ნებისმიერი სხვა აქტივობის დამატების საშუალებას იძლევა. თუ რომელიმე აქტივობას არ ვიყენებთ, შეიძლება ჩამონათვალიდან ამოღებაც:

ლექცია:

- დისკუსია;
- დემონსტრირება;
- სხვა;

ჯგუფში მუშაობა:

- დისკუსია;
- დებატები;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- სხვა;

პრაქტიკული მუშაობა:

- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- სხვა;

სემინარი:

- დისკუსია;
- დებატები;
- პრეზენტაცია;
- სემინარი;
- სხვა

ლაბორატორიული/სხვა:

11.ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები: სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, როგორ მიაღწევენ სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. შეფასების მითითებული ფორმებიდან და კომპონენტებიდან უნდა შეირჩეს

მხოლოდ რეალურად გამოყენებადი. სასურველია, შეფასება იყოს მრავალფეროვანი, თუმცა არა ხელოვნურად გადატვირთული. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მეთოდ(ებ)ის დამატება.

- გრაფაში „რაოდენობა“ უნდა მიეთითოს თითოეული მეთოდით შეფასების რაოდენობა;

- გრაფაში „შეფასება“ უნდა მიეთითოს მოცემული მეთოდით ერთჯერადად შეფასების ქულა;

- გრაფაში „ქულათა ჯამი“ იწერება უნდა მიეთითოს აღნიშნული მეთოდით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა (იგი შეადგენს წინა ორ გრაფაში მითითებული რიცხვების ნამრავლს);

- გრაფაში „შეფასების ჩატარების დრო“ უნდა მიეთითოს კონკრეტული კვირა ან პერიოდი. მაგალითად, თუ ვირჩევთ „წერით დავალებას“, რომელსაც ვატარებთ 4-ჯერ (III, VI, XII, XV კვირებში) და თუ თითოეული შეფასება არის 5-ქულიანი (არ არის აუცილებელი ზუსტად 5 ქულიანი იყოს. შეფასების წესის მიხედვით ერთჯერადი ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით, ხოლო ერთჯერადი წერითი გამოკითხვა - მაქსიმუმ 10 ქულით. შეფასების რაოდენობის გაზრდის მიზნით შესაძლებელია მოცემული მეთოდით ერთხელ შეფასების შესაბამისი ქულის შემცირება. მაგალითად „ქვიზი“, რომელიც არის წერითი გამოკითხვის მეთოდი შეიძლება შევაფასოთ არა 10, არამედ თუნდაც 1 ქულით). შედეგად მივიღებთ:

შეფასების კომპონენტები და მეთოდები	რაოდენობა	შეფასება	ქულათა ჯამი	შეფასების ჩატარების დრო	შეფასების კრიტერიუმები
1.1. წერითი გამოკითხვები			X ქულა		
წერითი დავალება	4	5	20	III, VI, XII, XV	

- გრაფაში „შეფასების კრიტერიუმები“ უნდა მიეთითოს კონკრეტული კრიტერიუმი თითოეული ქულისთვის. ზეპირი გამოკითხვებისას გრაფაში „შეფასების დრო“ შესაძლებელია მიეთითოს არა კონკრეტული კვირა, არამედ გარკვეული პერიოდი. მაგალითად, „დისკუსიის“ მეთოდის შემთხვევაში, რომელიც 3-ჯერ ტარდება (III-VI, VII-X, XI-XV კვირებში) და ფასდება 5-5 ქულით, მივიღებთ:

შეფასების კომპონენტები და მეთოდები	რაოდენობა	შეფასება	ქულათა ჯამი	შეფასების დრო	შეფასების კრიტერიუმები
1.1. ზეპირი გამოკითხვები			X ქულა		
დისკუსია	3	5	15	III-VI, VII-X, XI-XV	

შესაბამისად, სტუდენტმა იცის, რომ III-VI კვირებში მას შეუძლია მიიღოს ერთი ნიშანი დისკუსიაში მონაწილეობის გზით, რომელიც ელექტრონულ ჟურნალში აისახება VI კვირის გრაფაში.

ამ გზით გაწერილი ქულების ჯამი საბოლოოდ უნდა შეადგენდეს 100 ქულას. მაგალითად:

შეფასების კომპონენტები და მეთოდები	რაოდენობა	შეფასება	ქულათა ჯამი	შეფასების ჩატარების დრო	შეფასების კრიტერიუმები
1. მიმდინარე შეფასებები			30 ქულა		
1.1. წერიტი გამოკითხვები			15 ქულა		
წერიტი დავალება	2	5	10		
ტესტი	1	5	5		
1.2 ზეპირი გამოკითხვები			10 ქულა		
დისკუსია	1	5	5		
დებატები	1	5	5		
1.3 კლინიკური უნარ-ჩვევები (ეს არის შეფასების სხვა მეთოდის მაგალითი მედიკოსებისათვის)			5 ქულა		
პალპაცია	2	1	2		
პერკუსია	2	1	2		
აუსკულტაცია	1	1	1		
2 რეფერატი			10 ქულა		
3 შუალედური გამოცდა	1	20	20	IX	
4 დასკვნითი გამოცდა	1	40	40	XVII-XX კვირა	
სულ:			100 ქულა		

12.სწავლის შედეგები: უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის მიზნებს და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების შედეგებს. სასწავლო კურსი შეიძლება გადიოდეს ზოგად კომპეტენციაზე. კომპეტენციები, უნდა გაიწეროს შემდეგნაირად:

- ცოდნა:
- უნარები:
- კომპეტენციები:

13.ძირითადი ლიტერატურა: ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურის განახლებას. უნდა მიეთითოს ქართულენოვანი სახელმძღვანელოები (თუ საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის განხორციელების ენა არის მხოლოდ ქართული).

14.დამხმარე ლიტერატურა: ნუმერაცია უნდა წარმოადგენდეს ძირითადი ლიტერატურის ნუმერაციის გაგრძელებას.

	3. შეფასების სხვა სახის კომპონენტს	X ქულა				
	4. შუალედური გამოცდა					
	5. დასკვნითი გამოცდა					
	სულ:	100 ქულა				
	<p>დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა; <p>სტუდენტის საბოლოო შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი 					
სწავლის შედეგები						
ძირითადი ლიტერატურა						
დამხმარე ლიტერატურა						

№	შესასრულებელი სამუშაო	ინდიკატორები	პასუხიმიმცემელი პირი/პირები	შესრულების ვადები	აკრედიტაციის სტანდარტები/ ქვე სტანდარტები რომელსაც უნდა პასუხობდეს შესრულებული სამუშაო	შენიშვნა
1	პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	პროგრამის ხელმძღვანელი;		1.1 პროგრამის მიზნები 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება: უნარი: პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:
2	პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების განხილვა კურიკულუმის კომიტეტზე	კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა				
3	3.1. დამსაქმებელთა/ პოტენციურ დამსაქმებელთა განსაზღვრა	დამსაქმებელთა/პოტენციურ დამსაქმებელთა ნუსხა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა				
	3.2. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კითხვარის მომზადება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის	შეთანხმებული კითხვარი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა				კითხვარის შემუშავების პროცესში სასურველია კონსულტაცია გაიაროთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან
	3.3 კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ელექტრონული ინსტრუმენტის მომზადება		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			კურსდამთავრებულებს და დამსაქმებელს მიეწოდება პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია
	3.4 კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ჩატარება	მონაცემები გამოკითხვის შესახებ	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები გამოკითხვაში მონაწილეობენ ელექტრონული

						სისტემის გამოყენებით, რომლის მისამართს მოგაწოდებთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
	3.5 კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში ცვლილებების შეტანა	სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			სასურველია, განხილვაზე მოწვეული იყვნენ დამსაქმებლები
4	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების, ინსტრუმენტებისა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა	სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი			საკითხის განხილვის პროცესში სასურველია კონსულტაცია გაიაროთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან
5	პროგრამის პოტენციურ განმახორციელებელ პირებთან პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და მისი შეფასების მეთოდების გაცნობა	სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა პრეზენტაცია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შესახებ	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი			
6	პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი		2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
7	პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად მოდულების/სასწავლო კურსების/პრაქტიკის ან/და სხვა (პრაქტიკული/სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი უნარების განმავითარებელი) კომპონენტების განსაზღვრა და შედეგების რუკის შედგენა;	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი		2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება	საკითხის განხილვის პროცესში სასურველია კონსულტაცია გაიაროთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან
8	ა) თითოეული სასწავლო/სამეცნიერო ან/და სხვა კომპონენტის განსახორციელებლად პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენის მიზნით ინფორმაციის (განათლება, კვალიფიკაცია,	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი		4.1. ადამიანური რესურსი 4.3. მატერიალური რესურსი	ინფორმაცია უნდა შეივსოს თანდართული ფორმის შესაბამისად, რომელსაც მოგაწოდებთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

	სამეცნიერო პუბლიკაციები, სამუშაო გამოცდილება და სხვა) განხილვა სამუშაო ჯგუფის მიერ ბ)მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობის მიზნით სამუშაო ჯგუფზე განხილვა					
9	საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდირებული სწავლა-სწავლების მეთოდების (მათ შორის,სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით) განსაზღვრა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი		2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები	
10	10.1 თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებისა და კრედიტების განსაზღვრა;	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა (სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი		2.3. სასწავლო კურსი 2.6. სტუდენტების შეფასება 4.3. მატერიალური რესურსი	სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება: უნარი: პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: სილაბუსების განხილვის დროს გადამოწმდეს სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. ასევე, სტუდენტის შეფასების სისტემის შესაბამისობა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან
	10.2 თითოეული სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურის განსაზღვრა და საბიბლიოთეკო ფონდის გადამოწმება/განახლება	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა (სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			
	10.3 სასწავლო კურსის სილაბუსების განხილვა სამუშაო ჯგუფის მიერ	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა (სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			
	10.4 სასწავლო კურსის სილაბუსების განხილვა კურიკულუმის კომიტეტის მიერ	პროექტი კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა (სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			

		კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით)				
11	საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო ვერსიის განხილვა სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მიერ პროგრამის ბიუჯეტის პროექტის შედგენა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			ბიუჯეტი უნდა შედგეს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად და შეთანხმდეს ამავე სამსახურთან
12	საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე	ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			
13	საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა აკადემიური საბჭოს სხდომაზე	აკადემიური საბჭოს დადგენილება	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			
14	საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასებისთვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებასა და თითოეული სტანდარტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ვადების განსაზღვრა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			
15	თვითშეფასების განხილვა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე თითოეული სტანდარტის შესაბამისად	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			
16	თვითშეფასების განხილვა კურიკულუმის კომიტეტის სხდომაზე	პროექტი კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი			
17	საგანმანათლებლო პროგრამისა და აკრედიტაციის თვითშეფასების წარდგენა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის					

